

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

შ. 2.	ან. კ.	თვე	მან. კ.
11.	9 50	5	5 50
10.	8 75	4	4 75
9.	8	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერიის

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, ტფილისი.
გაზეთის დასაბამად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამაერთ. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხედზე—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

26 ენკენისთვის უეცრად გარდაიცვალა გიორგი ლავროვი-ქა ქართველი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა. პანაშვიდები—ყოველ დღე საღამოს 8 საათზედ. გასვენება მიცვალბულისა—კვირას, 30 ენკენისთვის, დილის 9 1/2 საათზედ დიდუბის ეკლესიაში. (მიხეილის პრესბიტერი სახლი № 180). 3—212—2

არტიკულ საზოგადოების დარბაზში შაბათს, 29 სექტემბერს,

კონსერტი

ცნობილი პიანინოზედ დამკვრელი ქალის

რ. ი. ჩერნეცკისა

იღებები 5 მანეთიდან 1 მან. 20 კ. მოსწავლეთათვის 50 კაპ. ისუი-
დება სუზანჯიანის მუზიკალურ მაღაზიაში.
(2—213—2)

პირველი კერძო სამკურნალო

მკურნალობის ნაშრომებისა

საქართველოში, ვორონცოვის ძველი პირდაპირი
ავადმყოფთა იღებენ ექიმნი ყოველ-
დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი ბ ი თ :

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.

სადოქტორო, ვენერიული (სიფილი-
სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ.

სწულეობანი: თვალისა, შინაგანი და
სწულეობანი.

ზ. ი. ბაბანასიანი. დილის 11

—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სე-
ნით ავადმყოფებს.

ბ. ი. ბაბანიანი. 12—1 საათ.

სურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყო-
ფობისა.

ბ. კ. ბაბანიანი. 1—1 1/2 ს.

შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ლ ა მ ო ლ ბ ი თ :

ბ. ნ. როსტომოვი. 5—6 ს.

საქირურგო და კანისა.

ბ. ნ. შაპოვსკი. 6—7 ს.

სწულეობისა (ელექტრო-ტერაპია), ში-
ნაგანი და ვენერიულ ავადმყო-
ფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგანი და

ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.

ს. ბ. არვანიანი. 11—1 ს.

გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-
საჟს“, აუტრის ყვავილს და გამარ-
თავს საექიმო გემნასტიკის ექიმის
დანიშნებით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს.

რევმა-დარღობისა და რევმატის დაწე-
რის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფა-
ლად, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებ-
ისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტო-
რი მედიცინისა ნავასარდიანი ი.

Первая частная лечебница—д-ра

Навасардиана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ბუხალბერიისა და საკანტორო ცოდნათა

კურსები

ბილიის საკომპოზიციო სა-
სწავლო-მეთოდით
(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მკოდ-
ნეთათვის და პრაქტიკული კურსე-
ბი ნემეცურის ენისა მოზრდილ-
თათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა
შეიძლება ტფილისის საკომერციო
სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ.
სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამ-
დე, კვირაობით 12—2 საათამდე.
(10—5.—5)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი
უფასოა).

მიხეილ გელვანიშვილისა.

პეკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი
იგივეშილისა, № 21 (ვორონცო-
ვის ძველი პირდაპირი).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ :

ბ. ი. ზიზინაძე—კბილის სწულე-

ობისა, 8—10 საათ.

მიხეილ გელვანიშვილი—ნე-
რვებისა და წამლობა ელექტრონი-
თ, 9—10 საათ.

ბ. ბ. მალაღვილი. შინაგანი და
ბავშვებისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მალაღვილი.—შინა-
განი; სამშობლოთა და ხუთშობლო-
თა, 10—11 საათ.

ბ. ა. მულინი—ყურისა, ყელი-
სა და ცხვირისა—10—11 საათ.

ბ. კ. ახალშენიშვილი—კბი-
ლის სწულეობანი. 10—12 საათ.

ბ. მ. შატილოვი—თვალის, 10
—11 საათ.

მკურნალ ბ. ს. ბაბანიანი ბავ-
შვებისა—11—12 ს.

დ. ა. გელვანიშვილი—ნე-
რვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ბ. ბ. ბარსუკოვი—დედათა
სწულეობანი, ორშობლოთა, ოთხ-
შობლოთა და პარასკეობით 12—
1 საათ.

ბ. ლ. მარკვილი.—საქირურ-
გო, 12 1/2—1 1/2 საათ. სამშობ-
ლოთა. 3—4.

ბ. დ. გელვანიშვილი. სიფილისი-
სა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.

ს ა ლ ა მ ო ლ ბ ი თ :

ბ. ნ. თუშანიშვილი—დედათა
სწულეობანი. 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ზ ი თ :

ბ. ბ. მალაღვილი—10—

12 ს. შინაგანი ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთხ-
ხები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ.
ოპერაციები და კრაოტები—მორი-
გებით.

კავკასიის საიმპერატორო სა- სოფლო-სამეურნეო საზოგა- დოების საზოგადოება

უპირილესად სთხოვს საზოგადოე-
ბის წევრთ მოზრდილნი სადღე-
სასწალო სხდომებზედ, რომელიც
კვირას, 30 სექტემბერს, მოხდება
საღამოს 7 1/2 საათზედ, საზოგადოე-
ბის სადგომში, საზოგადოების ოც-
დაათის წლის არსებობის გამო.
(2—5.—1)

საიუბილეო ღონე.

27 სექტემბერი.

ამ დღეს, დილით, ტფილისის სა-
ხანო თეატრში გამართულ იქმნა
მთავარ-მართველის მხრივ სახალხო
წარმოდგენა, რომელსაც დაესწრნენ
საიუბილეო დღესასწაულებზედ მო-
წვეულნი კავკასიის სხვა-და-სხვა
ერის წარმომადგენელი, ძველნი
მეომარი კავკასიის ომის დროისა,
სოფლის მამასახლისები და ტფილი-
სის ამკრების წარმომადგენელი.
წარმოდგენაზედ დასასწრებლად მო-
ზრდილნი აგრეთვე უავგუსტოესნი
სტუმარნი. წარმოდგენილი იქმნა
თითო მოქმედება სხვა-და-სხვა ოპე-
რიდან. წარმოდგენის დამსწრეთ
დაურიგეს რუსულსა და ქართულს
ენაზედ დაბეჭდული პროგრამები
„წარმოდგენისა.“

წარმოდგენის გათავებამდე საბერ-
ძნეთის დელოფალი ღ დიდი მთავარი
მიხეილი ნიკოლოზის ძე კადეტთა
კორპუსში წაბრძანდნენ. წარმოდ-
გენაზე მყოფნი, 1000 კაცამდე,
გათავების შემდეგ წაიდნენ დიდუ-
ბეში, სადღო მოედანზე, სადაც
მთავარ-მართველის მიერ გამართუ-
ლი იქმნა მათთვის სადილი. ამ სა-
დილზედ იყვნენ თავ-თავიანთ ტანი-
სამოსში გამოწყობილნი: რუსნი,
ქართლ-კახელნი, იმერელნი, თუშ-
ფშავ-ხევსურნი, გურულ-მეგრელნი,
აქარ-ქობულელნი, სომეხნი, თათა-
რნი, აფხაზნი და სხვანი. ნაშუა-
დღევის ორს საათზე სუფრა უკვე
მზად იყო. მალე მოზრდილნი
უავგუსტოესნი სტუმარნიც. მათ
მოჰყვნენ ტფილისის გენერლობა,
თავდაზნაურთა წარმომადგენელი
და სხვა საპატიო პირნი. უავგუს-
ტოესნი სტუმარნი აბრძანდნენ მათ-
თვის საგანგებოდ მოწყობილ პავი-
ლიონში, საიდანაც გადმოჰყურე-
ბდნენ ძირს დიდს ადგილზე გაწილ
სუფრას. სადილის დროს მთავარ-

მართველმა თავ. გოლიცინმა წარ-
მოსთქვა პირველი სადღეგრძელო
ხელმწიფე-იმპერატორისა, რასაც
ხალხი „ურას“ დახილით მიეგება.
მთავარ-მართველმაც წარმოსთქვა
სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერა-
ტორის წარმომადგენლის, დიდის
მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა;
ამ სადღეგრძელოსაც „ურათი“ მიე-
გებნენ, მესამედ მთავარ-მართველმა
ადღეგრძელო კავკასიის ყველა ერნი
განურჩევლად წოდებისა და ეროვნე-
ბისა. მეოთხედ მთავარ-მართველმა
მისი უდიდებულესობის საბერძნეთის
დელოფლის ოლგა კონსტანტინეს
ასულის სადღეგრძელო წარმოსთქვა.
ამ დროს ბ-ნთ კარგარეთლისა და
კავსადის ხორამ რამდენიმე ქართუ-
ლი სიმღერა შესრულა. აქა-იქ სუ-
ფრებზე ხალხური სიმღერებიც მო-
ისმა. უავგუსტოესნი სტუმარნი სუ-
ფრებს უვლიდნენ და ათვლიერებ-
დნენ ხალხს. სადილს შემდეგ გაი-
მართა ცეკვა-თამაში, ხმალში შე-
ჯობრება და ქიდაობა. 4 საათზედ
უავგუსტოესნი სტუმარნი მთავარ-
მართველის სასახლეში წაბრძანდნენ.
დიდუბეში დარჩნენ მთავარ-მართე-
ველი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერ-
ნატორი და სხვანი. ტფილისის გუ-
ბერნატორმა მოითხოვა ქიქა და
ხმა-მალა წარმოსთქვა კავკასიის
მთავარ-მართველის თავ. გოლიცი-
ნის სადღეგრძელო. შემდეგ მთა-
ვარ-მართველმა აივსო ღვინით აზარ-
ფემა და დალია ტფილისის გუბერ-
ნატორისა და დღესასწაული, სადი-
ლის გამართველთა სადღეგრძელო.
მოსადილენი ხუთ საათზედ დაი-
შალნენ.

საღამოზედ ტფილისის საარტი-
სტო საზოგადოების სადგომში, უმაღ-
ლესის სტუმრების თანადასწრებით,
გამართულ იქმნა ტფილისისა და
ქუთაისის თავდაზნაურთაგან სა-
დილი. 8 1/2 საათზედ მოზრდილნი
საბერძნეთის დელოფალი, დიდი მთა-
ვარი მიხეილ ნიკოლოზის ძე,
სხვა დიდი მთავარნი და მთავრი-
ნანი და საბერძნეთის მეფის ძე. სა-
დილის დროს შუა ადგილი დიდმა
მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ
და საბერძნეთის დელოფალმა დაი-
ქირეს, იქით-აქეთ მათ ესხდნენ დი-
დი მთავრნი მარია გიორგის ასუ-
ლი და კავკასიის მთავარ-მართე-
ველი. შემდეგ ისხდნენ დიდის მთა-
ვრის ვლადიმირის ასული ელენე,
დიდნი მთავარნი ნიკოლოზ და
გიორგი მიხეილის ძენი, საბერძნე-
თის მეფის ძე ანდრია, საქაროვე-
ლოს ექსარხოლი და სომეხთა კათა-
ლიკოსი. პირდაპირ ისხდნენ თავდა-
ზნაურთა გუბერნიის წინამძღოლ-
ნი. სადილის წინ დიდმა მთავარმა
მიხეილ ნიკოლოზის ძემ მიიხმო
ქუთაისის თავდაზნაურთა წინამ-
ძღოლი თავ. ლორთქიფანიძე და
გამოუცხადა, რომ ხელმწიფე იმპე-

რატორმა კეთილ ინება და გიბო-
ძათ მისის უდიდებულესობის კარის
კამერგერობაო. ტფილისის მაზრის
წინამძღოლს გენერალ-მაიორს სა-
გინაშვილს ებოძა ორდენი წმ.
სტანისლავის პირველ ხარისხისა,
გორისა და დუშეთის მაზრის წინა-
მძღოლებს თავ. ბაგრატიონ-დავითა-
შვილს და ყარ ანგოზიშვილს — მისის
უდიდებულესობის კარის კამერ-
იუნკრობა.

სადილის დროს პირველი სად-
ლეგრძელო იმპერატორისა წარმო-
სთქვა ტფილისის გუბერნიის მარ-
შალმა თავ. მელიქიშვილმა, მეორე
სადლეგრძელო დედოფალ იმპერატრი-
ცებისა ალექსანდრა თეოდორეს
ასულისა და მარიამ თეოდორეს
ასულისა და ხელმწიფე მემკვიდრი-
სა — ქუთაისის გუბერნიის მარშალმა
თავ. ლორთქიფანიძემ. მესამე სად-
ლეგრძელო დიდის მთავრის მი-
ხეილ ნიკოლოზის ძისა წარ-
მოსთქვა თავ. მელიქიშვილმა. შემ-
დედ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკო-
ლოზის ძემ წარმოსთქვა სადლე-
გრძელოები — საბერძნეთის მეფისა,
თავისს შვილებისა და ტფილისისა
და ქუთაისის გუბერნიის თავად-
აზნაურებისა. მთავარ-მართველმა
გუბერნიის მარშალის სადლეგრძე-
ლო წარმოსთქვა.

სადილის გათავების შემდეგ, სა-
დამოს 10 საათზედ, უმაღლესმა
სტუმრებმა დათვალდნენ საარ-
ტისტო საზოგადოების სადგომი და
შემდეგ სასახლეში წაბრძანდნენ.

სადამოზედ ქალაქი გაიზარდნენ-
ბული იყო.

ახალი ამბავი

* დღეს, 29 სექტემბერს, ნა-
შუადღევს 1 საათზედ, კავკასიის
მთავარ-მართველი თავ. გოლიცინი

ტფილისისა და ქუთაისის გუბერ-
ნიის თავად აზნაურთა წარმომადგე-
ნელთათვის საუზმეს გაჰმართავს.

* * როგორც უმართებელესი
სენატი განმარტავს, ქალაქის თვით-
მართველობას ნება თურმე აქვს
ფაბრიკებისა და ქარხნების შენო-
ბებზედ სადამფასებლო გარდასახ-
დის გაწერვის დროს მაშინებისა და
სხვა მოწყობილობათა ღირებულო-
ბაც მხედველობაში მიიღონ.

* * გინაზიელებისათვის ახალი
ფორმის ტანსამოსის შემოღებზედ
უმაღლეს მთავრობას უარი განუ-
ცხადებია.

* * უმართებელესის სენატის გა-
ნმარტებით, ქალაქის მოურავები
მ ავალენი თურმე არიან, ვიდრე
გუბერნატორისაგან გამოითხოვდნენ
ნებართვას დროებით დათხოვნისას,
ასეთი ნებართვა ჯერ ქალაქის სა-
ბჭოს გამოსთხოვონ.

* * რადგანაც კავკასიის საიმპე-
რატორო სასოფლო-სამეურნეო სა-
ზოგადოების ორმოცდა ათის წლის
საიუბილეო კრება და კავკასიის
მკურნალთა მეორე კრება ერისა
და იმავე დროს არის დანიშნული,
თანახმად მკურნალთა კრების თხო-
ვნისა, სასოფლო-სამეურნეო საზო-
გადოებას შესაძლებლად უცნია
საიუბილეო კრება 30 სექტემბრის
მაგივრად ოქტომბრის პირველ რი-
ცხებში მოახდინოს.

* * როგორც უმთავრესი სამხედ-
რო შტაბი განმარტავს, სამხედრო
ბეგრის მომხდელი უფლება თურმე
ეძლევათ, თუ-კი განათლება ნებას
აძლევეთ, თავისის ნებით შევიდ-
ნენ სამხედრო სამსახურში და მოი-
ხადონ ბეგარა იმავე წესით, რო-
გორც ამას დღეს ვოლნოკრედ-
ლიაუშები იხდიან.

* * რუსეთის მეფუტკრეობის სა-

ზოგადოებას ლაპარაკი აღუძრავს,
რომ სოფლის მასწავლებლებს, რომ-
ლებსაც სკოლებთან სამაგალითო
მეფუტკრეობის სწავლება შემოუ-
ღიათ, პრემიები დაენიშნათ.

* * როგორც იწერებია, შინა-
გან საქმეთა სამინისტროსთან შემ-
დგარი საგანგებო კომისია ქალა-
ქის დებულების განხილვას 1 ოქ-
ტომბრიდან თურმე შეუდგება.

* * „Тифл. л.“-ის სიტყვით, ქა-
ლაქის გამგეობის კასის გამჭურდ-
ველთა კვალისათვის უკვე მიუგ-
ენიათ.

* * როგორც უმართებელესი სე-
ნატი განმარტავს, მკურნალს უფ-
ლება თურმე არ აქვს სამსახურისა
გამო ნაკისრები მოვალეობა, მაგა-
ლითა, საავადმყოფოში მორიგეო-
ბა მოიზღვროს და გაქირავებულს
ავადმყოფს აღარ მიჰხედოს.

* * მიწათ-მოქმედებისა და სახელ-
მწიფო ქონებათა მინისტრისაგან
ბელგიის უსახელო საზოგადოების
წარმომადგენლად ნაყოფს იწყე-
ნენ რომის ნენართვა მოუვიდა,
რომ მამადავითზედ ფუნქიულერის
გასაყვანად საჭირო სახაზინო მიწა
დაუყოვნებლივ დაეთმოს.

* * როგორც გავიგეთ, ტფილისის ვაქ-
როს ნერსეს კანდისუნიანის თავის მოკე-
ლის მიზეზი სულიერი ავადმყოფობა ყო-
ფილა. ნერსეს კანდისუნიანს 25 სექტემ-
ბერს, სადამოს 5 საათზედ, მოიკლა თავი
რევოლვერით მუშტაიდის ბაღში.

* * ზუგდიდის მაზრის მცხოვრები ევ-
გენი გვარამია ქალაქში ჩამოსულა ავად-
მყოფ მამის მიხედვით საავადმყოფოში და-
საწვინად. გუშინწინ დილით გამოსულა,
ვარანცივის ძველთან ყურძენი უყრდნია და
ჭამა დაუწყებია. ამ დროს მასთან მისულა
ვიღაც ვეზბატონი და გამოსცნაურებია,
რომლისათვისაც ყურძენი-კი მიუთავაზნია.
აქედან ლაპარაკით უცნობს დღესასწაუ-
ლობის სანახავად სოლოლაკისკენ გაუწყე-
ვია ნემეცების სასაფლაოზედ. აქ მათ ფუ-

ლით სახე ქისა უზოგინათ, მაგრამ აღება
ვერც-კი მოუწვრიათ, მაშინვე ვიღაც უც-
ნობი ყმაწვილები მისცივიან და ფულე-
ბის თხოვნა დაუწყებიათ: „ფული დაგვარ-
გეთ და დაგვიბრუნეთო“ გვარამიასთვის
„ამხანაგს“ თვლი უქნია: აჩვენე შენი ჯი-
ბე და ქისაო. გვარამიასაც ამოუღია ქისა,
რომელშიაც 20 მანეთი ყოფილა და მიუ-
ცია. ამ დროს ერთს მათგანს გაუშინჯავს
ქისა და ისე მარდად ამოუღია ფული, რომ
გვარამიას ვერა შეუმჩნევია-რა. უცნობებს
ამის შემდეგ თავი ჩქარა დაუნებებიათ და
მიმალულან, მაგრამ აღარც ამხანაგს უც-
ლია დიდ ხანს და ესეც მიმალულა. დარჩა
ამ რიგად ცარიელ-ტარიელი ჩვენი საბრა-
ლო გვარამია.

დაბაღ სოფელი

ბარის ოსეთი. ეს რამდენიმე
წელიწადია სოფ. ხუმელაგლები
ახალი ეკლესიის აშენებას შეუდ-
გნენ და წელს კიდევ დაამთავრეს.
ახალი ეკლესია ხუმელაგლებს
თავიანთ მუშაობის გარდა დაუჯდათ
სულ თოთხმეტი ათასი მანეთი
(14000 მ.) და ეკლესიის გარშემო
ქვიტკირის ვალავანი შეიდასი მან.
ახალი ეკლესია წარსულს მარიამო-
ბისთვის ცხრამეტს დიდის ამბით
აკურთხეს ხუმელაგლებმა.

ეკლესია აკურთხა ყოვლად სა-
მღვდელო კავკასიისა და მოზღოკის
ეპისკოპოსმა ვლადიმირმა, მრავალი
სხვა სამღვდელოების თანამწირვე-
ლობით. ამ დღესვე ჰყვანდათ ხუ-
მელაგლებს მოწვეული თერგის
ოლქის უფროსი ბ-ნი ტოლსტოვი
და სხვა საბატოთა კაცები. ჰყვანდათ
ავრეთვე მოწვეულნი სხვა-და-სხვა
მეზობელ სოფლებიდანაც. ხარჯი
ამ დღისათვის ხუმელაგლებს მო-
ხადებული ჰქონდათ.

სადილის შემდეგ სტუმრები დი-
დად ნასიამოვნებნი დაიშალნენ.
მოატანს თუ არა შემოდგომა და

დაიწყებენ სიმინდის მთრეფას
ტყდება ყოველ მხრიდან ქურდობა,
მტაცებლობა და კაცის კვლა, თი-
თქას მიწიდგან ამოძვრებთან ხოლ-
მეო ეს მორატ-მოამქმედნი.

ცამეტს ენკენისთვის, თულანო-
ვების მინდორში, თავს დაესხნენ
არდონელს ღამის მეხრეებს, საბრა-
ლო მეხრეები საშინლად დალახეს
მითრახით; ასე გული რომ იჯერეს,
მერე გაირეკეს ხუთი ცხენი და გზა
არხინათ გაუდგნენ.

თოთხმეტს ამავე თვეს სოფელ
სინძიყავაში, სადამოთი, ჯერ ისევე
თვალნათლოვ, მინდვრიდან მომა-
ვალს სიმინდით სახე ურმებს დაე-
ცნენ, ორი ცხენი ჩაუხსნეს და გა-
იტაცეს. თერგს გაღმა ერთს მეზავოს
დაჰხვდნენ და ცხენს ართმევდნენ.
საბრალო გაუძალიანდ:თ თურმე
დასცეს თოფი და გააგორეს.

წინა კვირაში სტანიცა ნიკოლა-
ევკაში დაიტაცეს ცხენები. ამ თვის
პირველ რიცხვებში, სოფელ ნები-
თი-ქრისტიანში მცხოვრებნი თავი-
ვეი და ბორნოვი მოდიოდნენ სა-
დამოთი ყადგარონიდან. გზაში თავს
დაესხა რვა ცხენოსანი, ცხენები
წაართვეს, თავათ კარგაო გატყობს
და გზას გაუდგნენ.

ერთი სიტყვით, თითქმის ყველა
მხრიდან შიშის ზარი მოისმის ავა-
ზაკებისაგან...

სოფ. ნემით-ქრისტიანში მუცლის
სახადმა იჩინა თავი და დიდათ
აზარალებს ხალხს.

ჩვიდმეტს ამ თვეს კავკასიონის
მთები ჩამოგვიტოვა და ძლიერად
აკვიდა. თუ ასე გასტანა სიცივემ,
სიმინდის მტრეფას ხელ დიდად შე-
უშლის ბარის ოსებში.

ქართველი ოსებში.

ფელეტონი

მე-19 საუკუნე.
V*)

დემოკრატიზმი პოლიტიკაში.
შევრთებული შტატები, ავსტრალია,
შვეიცარია. — სახალხო განათლება, რეა-
ლური და ინდუსტრიული სკოლა. — სა-
არჩევნო უფლება, საყოველთაო ხმის უფ-
ლება, რეფერენდუმი. — ჰარბალდი და
ლინკოლინი, გლადსტონი და ლედრიუ-
როლენი.

შეგვხვთ რა წინა წერილებში
მოკლედ და, სამწუხაროდ, ზეზეუ-
რად იმ ცვლილებებს, რომელიც
ჩვეულებებსა, მეცნიერებასა და პო-
ლიტიკაში მოხდა, ესხა რიგით უნ-
და გადავსულიყავით კერძო მეც-
ნიერთა მიერ მე-19 საუკუნის და-
საწყისში აღიარებულ იმ ახალ სა-
ზოგადოებრივ და ზნეობრივ მოძღ-
ვრებებზედ, რომელიც თან-და-თან
ყველას საკუთვნოდ გარდაიქმნენ
და ხალხის, განსაკუთრებით მუშათა
კლასის, მშობრავად შეიქმნენ. მაგ-
რამ რადგანაც მმართველ კლასთა
უმრავლესობა და თვით დემოკრა-
ტიულ სახელმწიფოთა მთავრობანი
დღემდე თუ მტრულის თვალთ
არ უყურებენ, ზურგს მიანც აქცე-

ვენ ამ საზოგადოებრივ მოძღვრე-
ბებს და რადგანაც ამავე დროს
ყველა სახელმწიფოში ამ მოძღვრე-
ბათა გარეშე საყურადღებო დემო-
კრატიული რეფორმები მოხდა, სხვა
იდეალის მათაყვანებელ საპოლიტი-
კო მოღვაწეთა მიერ შესრულებუ-
ლი, — ამიტომ უკეთესია ჩვენც უწი-
ნარეს ყოვლისა ეს რეფორმები გან-
ვიხილოთ, გავიცნოთ იმის მოღვა-
წეთა ხასიათი და მხოლოდ შემდეგ
დაუბრუნდეთ დასახელებულ მოძღ-
ვრებებს, რომელიც რამოდენამდე
განვიღო საუკუნის მეცნიერებასა,
პოლიტიკასა და წარმოებაში მომხ-
დარ ცვლილებათა ნაყოფს წარ-
მოადგენენ.

დემოკრატია — ხალხმართვა *) —
მარტო მე-19 საუკუნის საკუთვნოს
არ შეადგენს. იგი მართვა-გამგეო-
ბის ფორმას შეადგენდა უძველეს
დროის და შუა საუკუნეების მრავალ
რესპუბლიკაში. მაგრამ განე-
ლილ საუკუნის დემოკრატიზმი ძი-
რითად განიჩნევა ძველ სახელმწი-
ფოების, თუნდა, მაგალითად, პე-
რიკლის დროის ათინის რესპული-
კის დემოკრატიზმისაგან. ევროპის
აწინდელ სახელმწიფოთა კანონ-

მდებლობის მთავარი საფუძველი,
89 წლის პრინციპებისა და ამერი-
კელთა დამოუკიდებლობის დეკლარა-
ციის თანახმად, ჰქადაგებს, რომ
ყველა კაცი, სახელმწიფოში დაბადე-
ბული, თავისუფალია პირადად და თა-
ნასწორია კანონის წინაშე უძლიერეს
ღუმდიდრეს მოქალაქეებთან; არაფერს
თვით უღარბესთავანიც-კი არ შეი-
ძლება თავისუფლებას მოკლებულ
იქმნას სასამართლოს გადაუწყვეტე-
ლად. სულ სხვას წარმოადგენდა ათი-
ნა, სადაც თავისუფალი იყო მხოლოდ
რამდენიმე ათასი „მოქალაქე“, რომ-
ელიც უფლება-მოკლებულ და
მონა-ქვეყნულ უმრავლესობის შრო-
მით სცხოვრობდნენ. მონობა იმ-
დენად ჩვეულებრივ მოვლენად ითვ-
ლებოდა, რომ იმ დროის უდიდეს
ფილოსოფოსთა და მოქალაქეთა-
კი ვერ წარმოედგინათ; საზოგადოე-
ბა, მონობისაგან თავისუფალი.

პლატონი, მაგალითად, თავის
იდეალურ რესპუბლიკას ამყარებდა
მონურს შრომაზედ; ფუკიდიდი თავის
პოლიტიკურ ეკონომიკას —
იმავე მონურს შრომაზედ; ხოლო
პერიკლმა, რომელიც ხალხმა კეთი-
ლის საქმეებისათვის დიდის მწუხარე-
ბით გამოიტირა და რომელიც
სიკვდილის ფაშს წარმოსთქვა, ჩემ
მმართველ-გამგეობის დროს არც ერთი
მოქალაქე არ ამიტირებიაო, — ამ პე-
რიკლმა მონად აქცია რამდენიმე ათა-

სი უკანონოდ შობილი ბავშვი. და
მაიქმედა ეს ისტორიკოსების მიერ
ნაქებ-ნადიდებმა დამზიდებულის სი-
ნიდისით მაშინდელის ზნეობისა და
შეხედულების თანახმად. ეს შეხე-
დულება იმდენად გავრცელებული
და ძლიერი იყო, რომ თვით მო-
ციქული პავლე, სახარების, ძმობისა
და სიყვარულის ქადაგების დროს,
იძულებული იყო მონა-ქრისტიან-
თათვის მორჩილება და სიწყნარე ერ-
ჩია: „ხოლო მონები დემორჩილეთ
ბატონთა თქვენთაო“, ჰქადაგებდა
იგი.

ამავე ვხედავთ ევროპის სახელ-
მწიფოებში ალორძინების (Воронжи-
деніе) ხანამდე, უკედ, იმ სარწმუ-
ნოებრივ მოძრაობებამდე, რომელიც
რეფორმაციისა და გლესთა ომების
დროს მოხდა. მხოლოდ შვეიცარიის
ობერლანდის ბატონა „მთის“ კანტონ-
ებმა, თავიანთ მეცადინეობით და-
პყრობას გადაჩინდნენ, შექმნეს
წმინდა დემოკრატია ყველას თანა-
სწორობით, ტყეთა და მინდორთა
სათემო მფლობელობითა და ობოლ-
თა და მოხუცთა სერეთა, საყოველ-
თაო მოვლა-პატრონობით.

მაგრამ შვეიცარიელ თავისუფალ
მწყემსთა დემოკრატია სრულიად
მოწყვეტილი იყო დანარჩენ ქვეყა-
ნას და იმისი გავლენა მხოლოდ
კერძო მოაზრეთა შრომებს დაეტყო.
დიდად დაეტყო ამ დემოკრატიის

გავლენა განსაკუთრებით ვან-უა-
რუსსოს უშესანიშნავეს შრომა
„Contrat Social“-ს (საზოგადოებ-
რივი ხელშეკრულება), რომელიც
რუსსომ პირველად გამოსთქვა ი-
აზრი, რომ ხალხს უფლება აქვს
(როგორც შვეიცარიაში) ცხოვრებ-
თავის ინტერესების და გადაწყვეტი-
ლების თანახმად მოაწყოსო. ამასთან
რუსსოს აზრით (ისე როგორც შვეი-
ცარიაში), ყველა კანტონსა და თემს
დამოუკიდებელ ცხოვრების უფლება
აქვს *).

რუსსომ მეტად დიდი გავლენა
იქონია შემდეგ თაობაზედ, იგი
ნამდვილი თაყვან-საცემი კერპი შე-
იქმნა დიდ რევოლუციის მოწინა-
ვე კაცთა და მე-18 საუკუნის და
სასრულის რეფორმატორთათვის.
მაგრამ, ამის და მიუხედავად, უნდა
ვთვალოთ, რომ დემოკრატიზმი
დიდი და ძლიერი ტალღა იზრდებოდა
და ვითარდებოდა ინგლისსა,
საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვა
გან ხალხის ღრმა მოძრაობათა გე-
ლენით. ვიცი, რომ სიტყვა რეფორ-
მაცია მკითხველს მოაგონებს ლიუ-
ტერისა და მელანხტონის, კალვინისა
და ცვინგლის სახელებს, გმ

*) „Il est contre l'ordre na-
turel, ამბობს რუსსო, que le plus
petit nombre soit gouverné par
le plus grand.“

*) იხ. „ივერია“ № 188.

*) რუსთა ხალხმართვის შესახებ იხილეთ
მშვენიერი გამოკვლევა ი. ნ. კოსტომარო-
ვისა და სერგეიევის თხზულება „Князь
и Вече“.



უცხოეთი

ჩინეთი. კონსტანტინეპოლიდან წყვეტენ „Berliner Tageblatt“-ს, რომ გერმანელ მისიონერების საღვთური ხიზინების მახლობლად ჩინელებმა დაანგრეს. იუწყებიან, რომ გუან-დუნში (ჩინეთის პროვინცია) მისიონერები დაანგრეს და მისიონერები გამოკვეცილა. როგორცაა სჩანს, ჩინეთში მშვიდობიანობა ვერ დამკვიდრებულა. მხა დადის, ვითომც ჩინეთში დაარსებულიყო ერთი საზოგადოება, რომელსაც ეწოდება „კავშირი შეერთებულ მკვიდრთა“ რამელსაც აზრად ჩინეთიდან ევროპელების გამოძევება აქვს. ეს საზოგადოება ჰეტიკობს, რომ ბოქსერებმა ძლიერად რე დაუშვადებლად დაიწყეს მოქმედება.

ინგლისი. ინგლისის სამხრეთ აფრიკაში ახალი ჯარები გაუგზავნია და ახალი მილიციები შეუდგენია. საკმაოდ დიდი ჯარი გაუგზავნია იქ ინდოეთიდანაც.

— „Daily Mail“ ამტკიცებს, „ინგლისსა და გერმანიის შორის დიდი ხანია სრული შეთანხმება მოხდა კოვეიტის შესახებ. კოვეიტი ბალადის რკინის გზის უკანასკნელს საღვთოდ არის დანიშნული და დიდი ბრიტანია გერმანიას ამ საქმეში ხელს არ შეუშლის. გერმანიისათვის მეტი არაფერია საჭირო და ამიტომ იმას არაფერია ინტერესი არა აქვს ოსმალეთს მხარი დაუჭიროს და ინგლისის წინააღმდეგ იმოქმედოს“.

— ოსმალეთის ჯარი კოვეიტში დასი მილის მანძილზე სდგას; ოსმალის ჯარის ბანაკი კოვეიტამდე მხოლოდ აქლემებით შეიძლება მისვლა, რადგანაც გზაზე წყალი სდგას.

გერმანელებსა და პურიტანებს, ხოლო მთლად ეს დრო ერთ სურათად წარმოუდგება, რომლის მთავარ ძარღვებსაც სარწმუნოებრივი და თეოლოგიური კამათი შეადგენდა, შეტაკება, ზოგჯერ ომიც. ასეთ სურათად წარმოუდგება ეს დრო მკითხველს, ნამდვილად-კი სარწმუნოებრივ რეფორმის საკითხმა საზოგადოებრივ და სახალხო მოძრაობასთან ერთად იჩინა თავი და გვერდში ამოუდგა ამ მოძრაობას, რომელიც ნელ-ნელა მზადდებოდა ვიკტორიისა, ჯონ ბოლისა და გლეხთა აჯანყებების (1380—1390) შემდეგ ინგლისში, მარსელის ჯაკობისა და ეტიენის (1350—1370) შემდეგ საფრანგეთში, გუსისა და გუსისტების შემდეგ ბოგემიაში (1415—1435).

ამ ბრძოლებსა და სისხლისღვრაში მთავარ სურვილსა და მოთხოვნის შეადგენდა ბატონ-ყმურის დამოკიდებულების გადაყრდნა, პიროვნების განთავისუფლება სასულიერო და საერო ფეოდალთა ძალმომრეობისა და ბოროტ-მოქმედებისაგან. თუმცა ფეოდალიზმმა გაიმარჯვა, თუმცა მან აღლვებულ ქათამ სისხლით მოარწყო მათი მონათხონილებანი, მაგრამ მაინც ამ დროდგან იწყობა ბრძოლა ქალაქებზედ დამყარებულ მყფის ბატონობისა ფეოდალთა წინააღმდეგ, ამ დროდგანა ჩნდებიან ის ახალი სა-

— „Frankf. Ztg.“-ს შეუტყვია სარწმუნო წყაროებიდან, რომ ოსმალეთს სურვილი აქვს კოვეიტის ინციდენტის მოსაწესრიგებლად გააგაში მიჰმართოს მუდმივს სამედიატორსა სასამართლოს, მაგრამ ინგლისი პირდაპირ უარჰყოფს ამ შეამდგომლობასა.

— რამდენიმე ხნის წინად ღუმლინი ირლანდიელების ყრილობა მოხდა. ამ ყრილობაზე წაიკითხეს ვილიამ ობრიენის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „ირლანდიელებს მხოლოდ სამხედრო იარაღი და ვაჭრთვანაკლიათ, თარემ მალე დაუმტკიცებდნენ ინგლისელებს, რომ ირლანდიელებს ბურგებზე ნაკლებ არა სძულთ ისინი“. ამავ ყრილობაზე ჯონ რედმონდმა განაცხადა, ირლანდიელებს დიდი საფუძველი აქვთ აიღონ ხელში იარაღი და თავისუფლება მოიპოვონ.

სამხრეთი აფრიკა. ჰოლანდიის მიწაში დანადგირებითი ცნობა მიუღიით სამხრეთ აფრიკიდან იმის შესახებ, რომ ბურგების ჯარი ამ ჟამად 25,000 კაცისაგან შესდგება.

საფრანგეთი. ოსმალეთთან დიპლომატიურ კავშირის ასადგენად საფრანგეთმა შემდეგი ხუთი პირობა შეიმუშავა: 1) საფრანგეთის ელჩის დაბრუნებისას თან მიჰყვება კონსტანტინეპოლამდე ან დარდნელამდე საფრანგეთის ჯავშნიანი გემი; 2) პორტა ზარბაზნების სრულით უნდა მიეგებოს საფრანგეთის დროშის ამართვას საელჩოზე, 3) პორტამ უნდა დაამტკიცოს ქალდეველთა პატრიარქი, 4) ოსმალეთმა უნდა გადხადოს თავისი ვალდებობა და 5) საფრანგეთის სურვილისამებრ უნდა იქმნას გადაწყვეტილი პალესტინაში სკოლების დაარსება.

— საფრანგეთის სამხედრო გემები ტულონში ნახშირით იტვირთე-

ზოგადოებრივი და სახელმწიფო მოძღვრებანი ადამიანისა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებათა შესახებ, რომელნიც საბოლოოდ განვითარებულ და განმარტებულ იქმნენ რეფორმაციის დროს ე. ბოდენის მიერ *) საფრანგეთში ერთაშ როტერდამელის მიერ ჰოლანდიაში, ტ. მორუსის მიერ ინგლისში. მაგრამ ფილოსოფოსნი და სახელმწიფო კაცი, თითო-ოროლას გარდა, ნაკლებად იყენენ გამოხატვლნი იმისა, რაც საზოგადოებისა და ხალხის გონებაში მოქმედდა. ამ უკანასკნელის გამოხატვლებად გამოვიდნენ მრავლისაგან მრავალი სექტები, განსაკუთრებით-კი ანაბატისტები, რომელთაც უკან მისდევდნენ გლეხნი და ხელოსანი გერმანიისა, ჰოლანდიისა, საფრანგეთსა და ინგლისში. აჯანყებული გლეხობა, რომლის წინააღმდეგაც ლიუტერი ჯვაროსანთა ომს ქადაგებდა, აღფრთოვანებული იყო ანაბატისტთა მოძღვრებით, იმ ანაბატისტთა, რომელთაც გაიმეორეს უფრო შემუშავებულ ფორმით ჯონ ბოლის მიმდევარ გლეხთა მოთხოვნილებანი. ანაბატისტთა სარწმუნოებრივი სწავლა *) არა მარტო უარსა ჰყოფდა ჰაბს ბატონობას და კათოლიკეთა სარწმუნოების იერარქიას, არამედ ყველა კაცს მღვდელმოქმედების უფლებასაც ანიჭებდა. „ღვთის მადლით, ნათქვამია მოძღვრებაში, ყველა კაცი შეიძლება აღიარდინებული, განათლებულ და ღირს იქმნას ქადაგებისა საქმითა და თავის ცხოვრების სიწმინდითა“. მაგრამ ანაბატისტები ამ თანასწორობაზედ არ შეჩერდნენ. გუსისტ-ბაბარტებსავით ისინი ჰქადაგებდნენ, რომ „ყველანი, სულით განათლებულნი, უნდა სცხოვრობდნენ ძმურად და ქონების განუყოფელად“ (მუხლი მე-4). შრომა სავალდებულოდ ითვლებოდა. „კაცმა საცხოვრებელი საკუთარის ხელით უნდა შეი-

*) მომყავს ეს ავტორები არა როგორც მოწინავე საპოლიტიკო ლიტერატურის წარმომადგენლნი, არამედ როგორც იურისტ-კონსულტები, კანცლერები და ზომიერნი. იმ დროის მოწინავე კაცი პოლიტიკის საქმეში დასახლებულ ავტორებზედ გაცილებით შორს მიდიოდნენ. მაგალითად, ბოდენი, ახალ საპოლიტიკო მეცნიერების მამად ცნობილი (J. Bodin, le pere de la science politique moderne et l'auteur „de la Republique“), ბევრად დაბლა იდგა აზრთა სიღრმით მონტენზედ და გაცილებით ზომიერი იყო თავის თანამედროვისა და მეგობრის, იმავ მონტენ ლა-ბოეციანზედ, შესანიშნავ ტრაქტატის ავტორზედ: „De la servitude Volontaire“ (ნება-ყოფლობით მონობის შესახებ).

ბიან; ალბათ, ეს გემები ოსმალეთში წასასვლელად ემზადებიან.

ინგლისი. 1897 წ. აჯანყებამ ინგლისის წინააღმდეგ და აჯანყებულების დამარცხებამ ერთხანად ინდოელებს გულში ის აზრი ჩაუნერგა, რომ ინგლისი უძლველია, იმასთან ბრძოლა მოუხერხებელია. სამხრეთ-აფრიკის საქმეებმა ინდოეთის თვალში ინგლისის ძლევამოსილების ხასიათი მოუსპო. ეხლა სხვა ნაირად ჰეტიკობენ რე რდლილოეთს ინდოეთში უკვე მოძრაობა დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ. შეიარაღებული ინდოელები ხშირად ესხმიან თავს ინგლისელებს. თუ ინგლისმა დროზე არ იღანა, ინდოეთში თავისი მფლობელობის შერჩენა შემდეგ ძალიან გაუძნელდება.

გერმანია. გერმანიის ცნობილი მწერალი, ფრიდრიხ შპილჰაგენი ამ ჟამად ავად არის და გარცში იმყოფება. ექიმებმა მუშაობა აუკრძალეს.

—

ინგლისი. ინგლისის ცნობილს პუბლიცისტს, მეტიენს, შემდეგი წერილი მიუწერია ვაზეთის „Morning Leader“-ის რედაქტორისთვის: „ამ წელს ბურგებს, როგორცაა სჩანს, წინააღმდეგ ნაკლები ძალა არა აქვთ და ეხლა ზაფხული შეძლებას აძლევს ზედ დასხმითი სამხედრო მოქმედება დაიწყონ. უკანასკნელს ხანებში ომის თეატრი ძალიან გაფართოვდა. ამ მდგომარეობის გამოსაკეთებლად მხოლოდ ერთი საშუალება-ღაა—მრავალ რიცხვოვანის და ენერგიული ჯარების გაგზავნა სამხრეთ-აფრიკაში.

„მაგრამ სად ვიშოვოთ ასეთი ჯარი? გაწვრთნილი ჯარი სახელმწიფოსი სრულებით ძალა-გამოცლილია და მოქანცული.

„აფრიკიდან უკან დაბრუნებული ცხენოსანი მილიციის ვეტერანები

მელთაც უკან მისდევდნენ გლეხნი და ხელოსანი გერმანიისა, ჰოლანდიისა, საფრანგეთსა და ინგლისში. აჯანყებული გლეხობა, რომლის წინააღმდეგაც ლიუტერი ჯვაროსანთა ომს ქადაგებდა, აღფრთოვანებული იყო ანაბატისტთა მოძღვრებით, იმ ანაბატისტთა, რომელთაც გაიმეორეს უფრო შემუშავებულ ფორმით ჯონ ბოლის მიმდევარ გლეხთა მოთხოვნილებანი. ანაბატისტთა სარწმუნოებრივი სწავლა *) არა მარტო უარსა ჰყოფდა ჰაბს ბატონობას და კათოლიკეთა სარწმუნოების იერარქიას, არამედ ყველა კაცს მღვდელმოქმედების უფლებასაც ანიჭებდა. „ღვთის მადლით, ნათქვამია მოძღვრებაში, ყველა კაცი შეიძლება აღიარდინებული, განათლებულ და ღირს იქმნას ქადაგებისა საქმითა და თავის ცხოვრების სიწმინდითა“. მაგრამ ანაბატისტები ამ თანასწორობაზედ არ შეჩერდნენ. გუსისტ-ბაბარტებსავით ისინი ჰქადაგებდნენ, რომ „ყველანი, სულით განათლებულნი, უნდა სცხოვრობდნენ ძმურად და ქონების განუყოფელად“ (მუხლი მე-4). შრომა სავალდებულოდ ითვლებოდა. „კაცმა საცხოვრებელი საკუთარის ხელით უნდა შეი-

*) მომყავს ეს ავტორები არა როგორც მოწინავე საპოლიტიკო ლიტერატურის წარმომადგენლნი, არამედ როგორც იურისტ-კონსულტები, კანცლერები და ზომიერნი. იმ დროის მოწინავე კაცი პოლიტიკის საქმეში დასახლებულ ავტორებზედ გაცილებით შორს მიდიოდნენ. მაგალითად, ბოდენი, ახალ საპოლიტიკო მეცნიერების მამად ცნობილი (J. Bodin, le pere de la science politique moderne et l'auteur „de la Republique“), ბევრად დაბლა იდგა აზრთა სიღრმით მონტენზედ და გაცილებით ზომიერი იყო თავის თანამედროვისა და მეგობრის, იმავ მონტენ ლა-ბოეციანზედ, შესანიშნავ ტრაქტატის ავტორზედ: „De la servitude Volontaire“ (ნება-ყოფლობით მონობის შესახებ).

ხელმეორეთ სამსახურში შესვლაზე უარს ამბობენ, ახალი მილიცია-კი მმართველობისავე სიტყვით გამოუსადარგია. ამიტომ აუცილებლად უნდა გადაეწყვიტოს ან ზავის შეკვრა, ან სამხედრო ბეგრის შემოღება და ან ჩვენი ერის დაღუპვა“.

სამხრეთი აფრიკა. „გაგასის სააგენტო“ იტალას ბრძოლის შესახებ შემდეგს ცნობებს იძლევა: ბრძოლა 19 საათი გაგრძელდა. მონაწილეობას იღებდნენ გენერალი ლუი-ბოტა, კამარდირები გრობეგერი, ემეტი, ოპერმანი, შილცი და პოტეტერი. პროსპეტის ასაღებად ცხარე ბრძოლა გამართეს ბურგებმა და მხოლოდ 10-ის საათის შემდეგ გადისროლეს უკან ინგლისელებმა ბურგები.“

— „ვესტ-მინისტრის ვაზეთი“ ამბობს ამ ბრძოლის შესახებ, ძნელი გამოსარკვევია საქმის ნამდვილი ვითარება, რადგანაც ერთის ცნობებით ბურგებს სულ 19 კაცი დააკლდათ და მეორე ცნობებით-კი 200 მოუკლეს და 300 დაუჭრეს.

ჩინეთი. კანტონიდან აუწყებენ გერმანიის ვაზეთებს, რომ ჩინელებმა კიდევ რამდენიმე სამისიონერო საღვთო განადგურესო. ამ ადგილებში გენერალ-გუბერნატორს 1900 ჯარისკაცი გაუგზავნია.

— ამერიკის კონსული იუწყება კანტონიდან, გენერალმა ვუმ 1500 ჯარის კაცით სრულიად დაამარცხა მემამოხენიო.

— ჩინელები თურმე ძალიან აღელვებულნი არიან იმ ხმებით, ვითომც ჩინეთის კრესიერებს რუსეთი კიდულობდეს. ბევრი-კი იმ აზრისა, ჩინეთი ამისთანა გადაწყვეტილებას არ დაადგენდაო.

— უკანასკნელის სამის კვირის განმავლობაში გამოიკა ოთხი ედიქტი შემდეგის შინაარსისა: 1) აი-

ძინოს“ (მუხლი მე-6). როგორც გვირგვინი დემოკრატიულ თანასწორობისა, იმათი სწავლა თხოულობდა: „არასოდეს ანაბატისტინებას არ მისცემს თავს დემოკრილოს ვისმეს, ან სხვას დააკისროს თავისი ძალა და ბატონობა. იმისი სამეფო—ღვთის სამეფოა. უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე მონად ყოფნა ან სხვის დამონავება“ (მუხლი მე-8).

ძმობას, ქონების განუყოფელობას და ბატონობის გაუქმებას ყველა სექტები არ ჰქადაგობდნენ. მაგრამ თანასწორობასა და თვითვეულ კაცის თავისუფლებას ყველანი ერთნაირად აღიარებდნენ. მართალია ისიც, რომ ანაბატისტში რაციონალისტურ სექტებს შორის ყველაზედ გავრცელებული იყო და რომ სხვა-და-სხვა სახელით იგი ხალხს მოედო გერმანიისა, ჰოლანდიისა და საფრანგეთში. როდესაც ახლად აღიარდინებული, სახელმწიფოებში გაბატონებული პროტესტანტთა ეკლესია ამ სექტების დევნას შეუდგა, ხოლო საფრანგეთში რეფორმის წინააღმდეგ დევნა ბართოლომეის ღამის მხეცურ ჟღერად გარდაიქცა, დევნა-დაწიოკებას გადარჩენილთა მიშურეს შორეულ ქვეყნებს, ოკეანეს მეორე მხარეს, ახლად აღმოჩენილ ამერიკასა და სამხრეთ აფრიკას.

ეს ლტოლვილი სექტანტები, ღრმად დარწმუნებულნი თავიანთ

კრძალოს ოფიციალურის მანქანებში მობების გაყიდვა, 2) გასტუმრების ზამენების ძველი სისტემა, 3) შემოღებულ იქმნას საკუთარი ფული და 4) დაარსდეს პროვინციებში უნივერსიტეტი, კოლეჯები, პრეფექტურები და ოლქებში—საზოგადო სკოლები. ჩინეთში ამ დეკრეტებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ჰეტიკობენ, რომ ესეც საკმარისია ჩინეთის ცხოვრების წესრიგის შესაცვლელად.

— „Standart“-ის კორრესპონდენტის სიტყვით, ფონდები და სხვა-და-სხვა თანხები, რომლებიც გადადებული იყო გადარბებულ მკვიდრთა სასარგებლოდ, სრულებით არ ჰრგებიანთ ხალხს მოხელეების ანგარების გამო და ამ გარემოებაში მღვდლთა გამოიწვია ხალხში. შიში აქვთ, რომ საყოველთო აჯანყება დაიწყება.

სასამართლო მართან.
პროცესი „კონტრაბანდისტების“ გამო.*)

საბრალდებლო ოქმი.
(დასარული)

ზემოხსენებულ საფუძველთა გამო ხარკვის უნივერსიტეტის სტუდენტს, ქუთაისის გუბერნიის, სოფ. ჩუენის მცხოვრებს, თ. ნიკოლოზ მერაბის ძეს ლორთქიფანიძეს, 20 წლისა, სტუდენტს იუტიევის უნივერსიტეტის, ქუთაისის გუბ. სოფ. ასკანას მცხოვრებს, გლეხს კირილე იესეს ძეს ნინიძეს, 23 წლისა, სტუდ. ხარკვის უნივერსიტეტისას, აზნაურს ალექსანდრე ნიკოლოზს ძეს კანდელაკს, 22 წლისა, და გლეხს ქუთაისის გუბ., სოფ. ლაშის მცხოვრებს, ილია კონსტანტინეს ძე აფხაიძეს, 20 წლისა, ბრალი ედებათ პირველს სამს იმაში, რომ 5-ს მისს 1901 წ. საღამოს ქ. ქუთაისში, ადგილობრივ თეატრში, პიესის „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს ერთად დაარღიეს წესი და მშვიდობა და თავისი ხმაურობით და სტენით შეაჩერეს პიესა

*) იხ. „ივერია“ № 209.

საქმის სიმართლეს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობის დემოკრატიულ პრინციპებით გატაცებულნი, მკაცრის ცხოვრების მიმდევარნი, სიმართლისა და ქეშმარტების მოყვარულნი, შეუდგნენ ჩრდილოეთ ამერიკის და კაპის მიწის გაუვალ ტყეების შემუშავებას. ევროპიდგან მაშინ მხოლოდ მხენ და შრომის-მოყვარენი მიდიოდნენ. ეს „მამანილოცველნი“, როგორც მათ დიდის პატივით იხსენიებს შეერთებული შტატების ისტორია, იმ დროის საუკეთესო ხელოსანნი იყვნენ. საფრანგეთმა, ჰოლანდიამ და ინგლისმა ამერიკას თავს იქლესტრიალურ და მიწად-მოქმედ მცხოვრებთა უკეთესი ნაწილი უთავაზა*).

ამ სარწმუნოებრივ დემოკრატთა შთამომავლებმა და ევროპის მე-19 საუკუნის ემიგრაციამ შექმნეს მსოფლიო ისტორიის უძლიერესი, უმდიდრესი, უგანათლებულესი და ყველაზედ უფრო თავისუფალი სახელმწიფო — შეერთებული შტატები.

ვ. მარკელი
(შემდეგი იქნება).

*) ცნობილია ისტორიული ფაქტი, რომ ნანტის ედიქტისა და დრაგონადის გაუქმებამ მოაკლდა საფრანგეთს ინდუსტრიალურ მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილი. განდევნილმა გუგენოტებმა სათავე დაუდეს პრუსიის ინდუსტრიასა და მრეწველობას და ინგლისისა და, ჰოლანდიის წარმოების მრავალ დარგს.

